



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 10

„ 21 „ 11 2019^წ

დადგენილება № 58

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგნობრივი პროფესიული პროგრამის განხორციელების შეწყვეტის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის #52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეწყდეს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (ე.წ. საგნობრივი პროგრამები) განხორციელება:

- ფარმაცევტის თანაშემწე - V საფეხური
- მემცენარე - III საფეხური
- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება - IV, V საფეხური
- სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი - IV საფეხური
- ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მებოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.) – III, IV და V საფეხური
- კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) – III, IV და V საფეხური
- კბილის ტექნიკოსი - III საფეხური
- ექთნის თანაშემწე - III საფეხური
- მასაჟისტი - III საფეხური
- ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავება - IV და V საფეხური
- კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (Auto cad) ოპერატორი - IV საფეხური
- ინტერნეტტექნოლოგიები (ვებ-სპეციალისტი) – IV საფეხური
- ბულალტერი -IV საფეხური

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება გაეგზავნოს ყველა ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებას და განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.№62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

7.



მაკა ბერიძე